



საქართველოს უნივერსიტეტი
ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა

სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

ხელნაწერის უფლებით

ნათია კალატოზიშვილი

საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის
რეფორმის შედეგების შეფასება (2018-2024
წლები): მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტების
ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და
საქართველოს ევროკავშირთან ჰარმონიზაციის
პროცესში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება)

თბილისი

2026

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს

უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა
სკოლა

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი, რუსუდან
ციციშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, ეკა გეგეშიძე

საბჭოს წევრი: პროფესორი, ნინო ქავთარაძე

ოფიციალური ექსპერტები:

გარე ექსპერტი - პროფესორი, ნათია შენგელია

გარე ექსპერტი - პროფესორი, ნანა ზაზაძე

გარე ექსპერტი - პროფესორი, გიორგი რუსიაშვილი

დისერტაციის დაცვა შედგება 2026 წლის 25 მარტს, 16:00 საათზე;

მისამართი: საქართველოს უნივერსიტეტი, მეოთხე კორპუსი, #519
საკონფერენციო ოთახი

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2026 წლის 11 თებერვალს;

სადისერტაციო საბჭოს მდივანი - ნათია მანჯიკაშვილი

ნაშრომის მიმოხილვა

ფინანსური გამჭვირვალობა და სანდო ფინანსური ანგარიშგება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ინვესტიციების მოზიდვისა და ზოგადად ეკონომიკური ზრდის კუთხით. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმაც სწორად ამას ისახავს მიზნად: გაზარდოს ანგარიშგების ხარისხი და გამჭვირვალობის სტანდარტები. ეს პროცესი განსაკუთრებით კრიტიკულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME-ები), რომელთა ფინანსებზე წვდომა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნაშრომის მიზანია საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგიანობის შეფასება SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ჭრილში; ასევე ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის დინამიკის გაანალიზება, მათ შორის მდგრადობის ანგარიშგების მიმართულებით. ნაშრომი აანალიზებს რეფორმის 2018-2024 წლების პერიოდს. კვლევა პასუხობს კითხვებს: 1. როგორ შეიცვალა SME-ების ანგარიშგების ხარისხი ბიზნესების აღქმით და რა წუხილები აქვთ ფინანსური ანგარიშგების ხარისხთან დაკავშირებით შემორჩენილი? 2. როგორ შეიცვალა ფინანსების მოზიდვის გამოცდილება ბიზნესებისთვის და რა სირთულეები რჩება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით? 3. როგორ შეიცვალა SME-ების ფინანსურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის ხარისხი ფინანსური ინსტიტუტების აღქმით? 4. როგორია საქართველოს ბუღალტრული სტანდარტების ევროკავშირის ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის პროგრესი და რა ნაბიჯები გადაიდგა ევროკავშირის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების დანერგვის კუთხით საქართველოში.

ნაშრომი ეყრდნობა ინფორმაციული ასიმეტრიისა და სიგნალის გადაცემის, ასევე ინსტიტუციურ და ლეგიტიმურობის თეორიებს. კონცეპტუალური ლოგიკა აწყობილია შემდეგნაირად: რეფორმა → ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება → ინფორმაციული ასიმეტრიის შემცირება → ნდობის ზრდა → ფინანსებზე წვდომის ეტაპობრივი გაუმჯობესება.

კვლევა ეფუძნება შერეულ მიდგომას და აერთიანებს როგორც კაბინეტურ, ისე საველე კომპონენტებს. კაბინეტური ნაწილი მოიცავს ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურის, შესაბამისი კანონმდებლობისა და ოფიციალური ანგარიშების ანალიზს, აგრეთვე 2018-2024 წლებში რეგულატორის მიერ გამოქვეყნებულ მიჩვენებლების დამუშავებას, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს, როგორც ნორმატიული ჩარჩოს, ისე პრაქტიკული დანერგვის ტრაექტორია.

საველე კომპონენტი აერთიანებს ორ სხვადასხვა ეტაპზე ჩატარებულ ონლაინ გამოკითხვას კერძო სექტორში (საბაზისო 2019; განმეორებითი 2025), ექსპერტულ ინტერვიუებს ასევე დროის ორ პერიოდში (2019 და 2025) და 2024 წელს ჩატარებულ ინტერვიუებს კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან.

აღნიშნული კვლევის დიზაინი უზრუნველყოფს როგორც ბიზნესის, ისე დაკრედიტების მხარისა და რეგულატორის პერსპექტივის გააზრების შესაძლებლობას.

კვლევის შედეგად შეგროვილი რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი კომპიუტერული პროგრამა Python-ის საშუალებით განხორციელდა. მონაცემები დამუშავდა აღწერითი სტატისტიკის, კროსტაბულაცია - ჯვარედინი ცხრილების, ხი-კვადრატის (χ^2 ტესტი), ერთფაქტორიანი ANOVA-სა და ხაზოვანი რეგრესიული ანალიზის გამოყენებით; დამატებით, რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შეფასება ექსპერტული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით განხორციელდა.

თვისებრივი მონაცემები თემატურად არის გაანალიზებული და ინტეგრირებულია ნაშრომში, რაც აძლიერებს მიზეზების ინტერპრეტაციას.

კვლევის შედეგად მიღებული შედეგები ადასტურებს ნაშრომის ჰიპოთეზას: საქართველოში განხორციელებულმა აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმამ 2018 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში SME-ების ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება ვერ შეძლო, თუმცა დადებითად იმოქმედა ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე.

ნაშრომში გამოკვეთილია რეფორმის ძირითადი გამოწვევები: SME-ების ანგარიშგების ხარისხი ძირითადი პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია სფეროში პროფესიული კომპეტენციების ნაკლებობასთან, კომპანიების ქცევასთან, ფინანსური წიგნიერების დაბალ დონესა და ტექნოლოგიურ ჩამორჩენასთან.

კვლევის შედეგებს აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა: პოლიტიკის გამტარებლების და მარეგულირებლებისთვის - რეფორმის ეფექტიანობის შეფასებისა და შემდგომ ეტაპებზე სწორი პრიორიტეტების განსაზღვრისთვის; კომერციული ბანკებისთვის - საჯარო ინფორმაციის გამოყენების სტანდარტიზაციისა და საკრედიტო შეფასების გაუმჯობესებისათვის; SME-ებისთვის - ანგარიშგების ხარისხის ამაღლების გზით ფინანსურ რესურსებზე წვდომის სტრატეგიების ოპტიმიზაციისათვის; აკადემიური წრეებისთვის - გარდამავალი, ბანკებზე მეტად დამოკიდებული ეკონომიკის ემპირიული მიგნებების გაღრმავებისთვის.

რეკომენდაციები ფოკუსირდება: SME-ების ფინანსური წიგნიერებისა და პროფესიული კაპიტალის გაძლიერებაზე; ბუღალტრული და აუდიტორული კადრების მიზნობრივ გადამზადებაზე; ანგარიშგების პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციასა და მონაცემთა ხარისხის სტანდარტიზაციაზე; ბანკებსა და რეგულატორებს შორის მონაცემთა გაცვლისა და მეთოდოლოგიური კოორდინაციის გაღრმავებაზე; ევროკავშირის მდგრადობის სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვაზე.

შეთავაზებული ნაბიჯების პრაქტიკაში განხორციელება შეამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას, გააუმჯობესებს რისკის შეფასების სიზუსტეს და ეტაპობრივად ხელს შეუწყობს SME-ების ფინანსებზე უკეთეს წვდომას.

სადოქტორო ნაშრომი შედგება 167 გვერდისგან და მოიცავს მიმოხილვას, სარჩევს, შესავალს, 5 თავს, 31 პარაგრაფს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, 5 დანართს. ნაშრომში მოცემულია 36 ცხრილი, 20 დიაგრამა და 2 ილუსტრაცია; ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალი

ფინანსური გამჭვირვალობა და სანდო ფინანსურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ფინანსური ანგარიშგების მაღალი ხარისხი ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას, ზრდის ნდობას და ქმნის პირობებს ინვესტიციებისა და ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. საქართველოში მიმდინარე აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა განიხილება, როგორც ევროკავშირთან ჰარმონიზაციისა და ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვანი ნაბიჯი. რეფორმის ფარგლებში 2018 წლიდან კომპანიებისთვის სავალდებულო გახდა ფინანსური ანგარიშგებების საჯარო პლატფორმაზე განთავსება, რამაც შექმნა უპრეცედენტო გამჭვირვალობის სტანდარტი ქვეყანაში.

თანამედროვე ეკონომიკაში განსაკუთრებით აქტუალურია ფინანსური გამჭვირვალობის მიღწევა და ანგარიშგების სტანდარტების ჰარმონიზაციის საკითხი, მათ შორის მდგრადობის ანგარიშგების მიმართულებით. ცალკეული ქვეყნებისთვის ევროკავშირის რეგულაციებთან თანხვედრა არა მხოლოდ ტექნიკური მოთხოვნაა, არამედ ინსტიტუციური გარემოს გაძლიერების და ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა. ასევე საქართველოშიც, აღნიშნული რეფორმა სწორად ამას ისახავს მიზნად. შესაბამისად, საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს რეფორმის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

წინამდებარე ნაშრომი სწავლობს 2018-2024 წლებში საქართველოში მიმდინარე აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შედეგიანობას SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ჭრილში. ასევე აფასებს, როგორ ეხმარება ეს რეფორმა საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებაში. კვლევა ფოკუსირდება მნიშვნელოვან კითხვებზე: როგორ შეიცვალა ბიზნესების მიერ აღქმული ანგარიშგების ხარისხი და მისი გამოყენება? რა ტენდენციებია დაფინანსების პირობებში და ფასში? როგორ იყენებენ კომერციული ბანკები საჯარო ფინანსურ ინფორმაციას საკრედიტო შეფასებისას? რა პროგრესი დაფიქსირდა ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიმართულებით?

კვლევა ღირებულია, როგორც სამეცნიერო, თეორიული, ისე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც. საქართველოში აქამდე არ ჩატარებულა მსგავსი მასშტაბის ემპირიული ანალიზი SME-ების ფინანსებზე წვდომისა და ბუღალტრული რეფორმის გავლენის შესახებ. შესაბამისად, კვლევის შედეგები აქტუალური იქნება თემით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოების, პოლიტიკის გამტარებლებისა და ფინანსური სექტორისთვის. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს საქართველოს აღრიცხვისა აუდიტის რეფორმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების გააზრებასა და წარმატებით გამკლავებას, განსაკუთრებით ბიზნესების ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და ევროსტანდარტებთან სფეროს ჰარმონიზაციის კუთხით.

თავი 1. საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტები და მცირე და საშუალო საწარმოების გამოწვევები

ბოლო ათწლეულებში ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ჰარმონიზაცია ტენდენციად იქცა. მისი მიზანია, აღრიცხვის ერთიანი ჩარჩოს დამკვიდრება, რაც ინვესტორებს, კაპიტალის მიმწოდებლებსა და მარეგულირებლებს აძლევს სანდო, გამჭვირვალე და შესადარის ინფორმაციას. ამ პროცესში წამყვანი როლი ეკუთვნის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS), რომელთა დანერგვამ შექმნა გლობალური პლატფორმა ანგარიშგების ხარისხის ასამაღლებლად და ნდობის გასაძლიერებლად.

ევროკავშირში 2005 წლიდან ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიებს სავალდებულოდ მოეთხოვათ გაერთიანებული ანგარიშგების IFRS-ის მიხედვით მომზადება. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შემუშავდა გამარტივებული ჩარჩო - IFRS for SMEs (2009), თუმცა მისი დანერგვა ბევრ ქვეყანაში შეზღუდულია და ნაკლებად გავრცელდა, ვიდრე IFRS. მისი დაბალი გავრცელება დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესების ტექნიკური უნარების დეფიციტთან, ტრენინგების ნაკლებობასთან და დანერგვის

ხარჯებთან. სტანდარტის ნებაყოფლობითი გამოყენება უფრო ხშირია იმ კომპანიებში, რომლებიც ინტენსიურად ურთიერთობენ გარე დაინტერესებულ მხარეებთან და საერთაშორისო ვაჭრობაში არიან ჩართულნი, ხოლო სხვა შემთხვევაში დანერგვის მოტივაცია იკლებს. ასევე, აღიარებულია რომ სტანდარტის ფორმალური მიღება ავტომატურად არ ნიშნავს საწარმოების ანგარიშგების მაღალ ხარისხს.

განვითარებად ქვეყნებში IFRS-ის დანერგვა ხშირად განიმარტება, როგორც კაპიტალის ბაზრების მიმზიდველობის ზრდის საშუალება, თუმცა შედეგი დამოკიდებულია ინსტიტუციურ გარემოზე და აღსრულების ხარისხზე. პოსტ-საბჭოთა სივრცეში დანერგვის ტემპი სხვადასხვაგვარია: ბალტიის ქვეყნებმა IFRS და IFRS for SMEs ევროკავშირთან ინტეგრაციის პარალელურად დანერგეს; მოლდოვასა და სომხეთში დღეისთვის გარკვეული პროგრესია მიღწეული საერთაშორისო მხარდაჭერით. საქართველოში ორივე სტანდარტი დანერგილია, რაც ჰარმონიზაციის პროცესის მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

გლობალურად SME-ების დაფინანსებაზე წვდომა კვლავ გამოწვევად რჩება: ინფორმაციული ასიმეტრია, არასრული საკრედიტო ისტორია და შიდა პროცესების სისუსტე ზრდის მცირე ზომის კომპანიების რისკს და ზღუდავს დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობას. ამ ფონზე, გამჭვირვალე და სანდო ფინანსური ანგარიშგება განიხილება როგორც კრიტიკული წინაპირობა კრედიტუნარიანობისა და ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, რომ მაღალი ხარისხის ანგარიშგება და IFRS-თან შესაბამისობა ზრდის ბიზნესის გარე დაფინანსებაზე წვდომას და ამყარებს ნდობას, თუმცა ეფექტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კომპანიების ზომასა და აუდიტის ხარისხზე. IFRS for SMEs-ის შემთხვევაში ბარიერებად რჩება ტექნიკური კომპეტენციები და დანერგვის ხარჯები. საბოლოო ჯამში, ჰარმონიზაცია ემსახურება გამჭვირვალობისა და სანდოობის ზრდას, თუმცა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრაქტიკული შედეგი ეტაპობრივად ყალიბდება და მოითხოვს პროფესიულ უნარებსა და ინსტიტუციურ სიძლიერეს.

თავი 2. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის ევოლუცია

საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა დაიწყო 2016 წელს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მიღებით, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესებას, რეგულირების გაძლიერებას და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას (საქართველოს პარლამენტი, 2016). რეფორმა ეფუძნება ასოცირების შეთანხმების ვალდებულებებს. აღსრულების ნაწილი მოიცავს ზედამხედველობის ორგანოს (SARAS) შექმნას, ანგარიშგების საჯარო პლატფორმის ამოქმედებას (reportal.ge) და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას (IFRS, IFRS for SMEs).

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი სიახლე იყო პროპორციულობის პრინციპი: კომპანიები დაიყო ოთხ კატეგორიად, რაც განსაზღვრავს სათითაო კატეგორიის ანგარიშგების სტანდარტს და აუდიტის სავალდებულობას. I კატეგორია იყენებს სრულ IFRS-ს და აუდიტი სავალდებულოა; II და III კატეგორიები - IFRS for SMEs იყენებენ; IV კატეგორია - გამარტივებულ IFRS-ს (ადგილობრივ სტანდარტს). მცირე და საშუალო კომპანიებისთვის აუდიტი ნებაყოფლობითია, თუმცა ნებისმიერ კომპანიას შეუძლია აირჩიოს სრული IFRS საკუთარი სურვილით და აუდიტიც გაიაროს. ეს ნებაყოფლობითი მიდგომა ამცირებს შესაბამისობის ტვირთს მცირე ბიზნესისთვის.

საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის ინსტრუმენტებია:

საჯარო ანგარიშგების პლატფორმა reportal.ge, რომელიც ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ინვესტორებისთვის; აუდიტის ზედამხედველობის გაძლიერება, რაც ზრდის ანგარიშგების სანდოობას;

ტრენინგები და ცნობიერების ამაღლება, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული კომპეტენციების ზრდას და ფინანსური წიგნიერების გაუმჯობესებას.

საქართველოში მიმდინარე რეფორმას საერთაშორისო ორგანიზაციები და ადგილობრივი მკვლევარები თვალყურს

ადევნებენ. გავრცელებული პირველადი შეფასებები გამჭვირვალობისა და კორპორატიული მართვის მიმართულებით პროგრესზე მიუთითებს. კვლევები ადასტურებს, რომ IFRS-ის დანერგვამ გაზარდა ინფორმაციის სიზუსტე და ინვესტორთა ნდობა, თუმცა უმეტესწილად მსხვილ კომპანიებში. პრობლემად რჩება პროფესიული რესურსების დეფიციტი და ტრენინგების ნაკლებობა, მცირე ზომის კომპანიებში.

თავი 3. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის საწყისი ფაზა - კერძო სექტორის მზაობა და პირველი შედეგები

საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის საწყისი ეტაპი შეფასებულია კერძო სექტორის მზაობის შემოწმების გზით. რეფორმის მიზანი იყო ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესება, რეგულირების გაძლიერება და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ამ შედეგების მიღწევა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ბიზნესების ინფორმირებულობაზე და პროფესიულ კომპეტენციებზე, რათა რეფორმაში სწორად ჩართვა მოახერხონ. ამ თავში ასევე გაანალიზებულია ანგარიშგების გასაჯაროების სტატისტიკა, რეფორმის აღსრულების ნაწილის შესაფასებლად.

ნაშრომში განხილულია SME-ების დამოკიდებულება რეფორმის მიმართ, მათი ცოდნის დონე და მზაობა ახალი წესრიგის შესასრულებლად. კვლევა ეფუძნება 2019 წელს განხორციელებულ გამოკითხვას (74 კომპანია) და სამ ექსპერტთან ჩატარებულ ინტერვიუს. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ კომპანიების უმრავლესობა რეფორმას პოზიტიურად აფასებს (81%), თუმცა მხოლოდ ნაწილს (42%) აქვს მისი დეტალური გაგება, რაც მიუთითებს ცოდნასა და შეფასებას შორის არსებულ ასიმეტრიაზე. რესპონდენტების დიდი ნაწილი საჭიროებად მიიჩნევს დამატებით ტრენინგებს IFRS-ის მიმართულებით, ხოლო ექსპერტები ხაზს უსვამენ ბუღალტერთა უნარების ნელ განვითარებას და რეფორმის დეტალების არასაკმარის ცოდნას.

SARAS-ის საჯარო მონაცემები აჩვენებს, რომ I-III კატეგორიებში ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებლები მაღალია (2021 წელს დაახლოებით 95%), ხოლო IV კატეგორიაში ფიქსირდება კლების ტენდენცია (80%-დან 72%-მდე 2021 დან 2023 წლამდე). ეს მიუთითებს რესურსებისა და კომპეტენციების პრობლემებზე მცირე ბიზნესში. ასევე, ფორმალური შესაბამისობის გარდა შესასწავლი რჩება ანგარიშგების შინაარსობრივი ხარისხი: 2020 წელს SARAS-ის მიერ გაიცა 26,000-ზე მეტი გაფრთხილება ანგარიშგების დეფექტების გამო, რაც ხაზს უსვამს ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებას.

მთლიანობაში რეფორმის საწყისი ფაზა აჩვენებს ბიზნესის პოზიტიურ განწყობას და აღსრულების ნაწილში ტექნიკური პროგრესის ნიშნებს, თუმცა სისტემური გამოწვევები კვლავ აქტუალურია. დანერგვის ხარჯების საკითხი მცირე კომპანიებისთვის, პროფესიული განათლების დეფიციტი და ინფორმირებულობის დაბალი დონე იკვეთება ძირითად ბარიერებად. SARAS-ის სტრატეგია 2023-2026 წლებში მიზნად ისახავს ანგარიშგების ხარისხის ზრდას, ბუღალტრული პროფესიისადმი ნდობის განმტკიცებას და ევროკავშირის სტანდარტებთან თანხვედრას, რაც რეფორმის მეორე ეტაპის განხორციელების საფუძველს ქმნის.

თავი 4. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის განხორციელება და მიღწეული პროგრესი 2018-დან 2025 წლამდე

საქართველოს რეფორმის შედეგების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, როგორ განვითარდა აღრიცხვისა და აუდიტის სისტემა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, რა ცვლილებები შეინიშნება ბიზნესის პრაქტიკაში და სად რჩება გამოწვევები. რეფორმის მიზანი იყო ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესება, რეგულირების გამლიერება და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, თუმცა მისი ეფექტიანობა

დამოკიდებულია არა მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობაზე, არამედ გასაჯაროებული ინფორმაციის სანდოობაზე.

მე-4-ე თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც ეფუძნება 2024-2025 წლებში ჩატარებულ გამოკითხვას (311 რესპოდენტი) და 2019 წლის საბაზისო მონაცემებთან შედარებას, SARAS-ის ანგარიშებს, კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან ინტერვიუებსა და საბოლოო ექსპერტულ ინტერვიუს. აღწერითი და ღრმა სტატისტიკა, მონაცემების შედარებითი ანალიზი და ექსპერტული შეფასებები ერთმანეთს ავსებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს რეფორმის პროგრესი და არსებული ბარიერები.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად გაიზარდა: კომპანიების უმრავლესობა ანგარიშგებას საჯაროდ აქვეყნებს reportal.ge-ზე, რაც ქმნის ბაზრის დისციპლინის საფუძველს. თუმცა, ამ ანგარიშგების შიდა გამოყენება ჯერ კიდევ შეზღუდულია, განსაკუთრებით მიკრო და მცირე კომპანიებში, სადაც რესურსების დეფიციტი და პროფესიული უნარების ნაკლებობა რჩება პრობლემად. SARAS-ის მონაცემებით ანგარიშგების ხარისხი კვლავ გამოწვევად რჩება: ბოლო წლებში დაფიქსირდა ათასობით გაფრთხილება დეფექტების გამო, რაც მიუთითებს შინაარსობრივი გაუმჯობესების საჭიროებაზე.

ფინანსებზე წვდომის მიმართულებით პროგრესი შეზღუდულია. SME-ების უმრავლესობა აცხადებს, რომ საკრედიტო პირობები არსებითად არ შეცვლილა რეფორმის დაწყების შემდეგ. ბანკებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ საჯარო ანგარიშგებები იშვიათად ხდება საკრედიტო გადაწყვეტილების ძირითადი საყრდენი; ბანკებისთვის გადამწყვეტია კომპანიების უახლესი მონაცემები და აუდიტის არსებობა. ამის უზრუნველყოფა კი მცირე კომპანიების მიერ რთულია. შესაბამისად, საჯარო გამჟღავნება მნიშვნელოვანია, მაგრამ საკრედიტო პროცესში მისი წონა ჯერ კიდევ დაბალია.

კვლევამ ასევე აღწერა კერძო სექტორში ფინანსური წიგნიერების დაბალი დონე: ბიზნესები ანგარიშგებას ხშირად მხოლოდ ფორმალური ვალდებულების შესასრულებლად ამზადებენ, ხოლო მისი ანალიტიკური გამოყენება ნაკლებად ხდება. OECD/INFE-ის საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები

მიუთითებს, რომ მცირე და საშუალო საწარმოების თეორიული ფინანსური ცოდნა საქართველოში ქცევად არ გარდაიქმნება, რაც საჭიროებს პრაქტიკულ ტრენინგებს და ფინანსური ინსტრუმენტების გამარტივებას.

ევროკავშირის ჰარმონიზაციის მიმართულებით პროგრესი თვალსაჩინოა: CSRD/ESRS-ის მოთხოვნები და SME-ებისთვის გამარტივებული სტანდარტები თანდათან ინერგება, ESG თემატიკა კი აქტუალური ხდება საკრედიტო და საინვესტიციო პროცესებში. ეს ქმნის ახალ შესაძლებლობებს, თუმცა საჭიროებს ეტაპობრივ და რეალისტურ ინტეგრაციას, რომ მცირე ბიზნესი არ გადაიტვირთოს დამატებითი მოთხოვნების შესრულებით.

ექსპერტული ინტერვიუები ხაზს უსვამს მცირე და საშუალო ბიზნესების პრაქტიკული მხარდაჭერის აუცილებლობას: ადგილზე სწავლება, მარტივი ინსტრუქციები და ცოცხალი მაგალითები ითვლება ყველაზე ეფექტიან მიდგომად. აუდიტის დაბალი გავრცელება და ESG-ის ნელი ინტეგრაცია კვლავ გამოწვევებია, თუმცა ტენდენცია პოზიტიურია.

საბოლოო ჯამში, მე-4-ე თავში ჩანს, რომ რეფორმამ უკვე მოიტანა სტანდარტიზაციისა და გამჭვირვალობის შედეგი. შემდეგი ნაბიჯი არის ინფორმაციის სანდოობისა და გამოყენების ამაღლება, რაც SME-ებს შეუქმნის უკეთეს პირობებს, სწრაფი გადაწყვეტილებების საშუალებას და ფართო ბაზარზე წვდომის შესაძლებლობას.

თავი 5. საქართველოს აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის შეფასების პროცესში გამოვლენილი შესაძლებლობები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები

მე-5-ე თავი აერთიანებს წინამორბედი თავების ემპირიულ შედეგებს და ამოწმებს თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება ინფორმაციული ასიმეტრიისა და სიგნალის გადაცემის, ასევე ინსტიტუციური და ლეგიტიმურობის თეორიებს. განხილულია

კომპანიების ზომისა და კატეგორიის მიხედვით გამოვლენილი განსხვავებები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრაქტიკული ეფექტები, ბანკების საკრედიტო ქცევა და ESG ჩარჩოს დანერგვის პროგრესი. პარალელურად, შემოწმებულია კვლევითი ჰიპოთეზა.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ რეფორმის შედეგად SME-ების ფინანსური გამჭვირვალობის ზრდა, ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება და ფინანსებზე წვდომის ხელშეწყობა - მოკლევადიან პერიოდში მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღწეული. I-II კატეგორიებში კომპანიები უკეთ ერგებიან სტანდარტებს და ანგარიშგებას იყენებენ როგორც შიდა მართვის, ისე გარე კომუნიკაციის ინსტრუმენტად, მაშინ როცა III-IV კატეგორიებში შესაბამისობა ხშირად ფორმალურ ვალდებულებად რჩება. IV კატეგორიაში დაფინანსებაზე წვდომა ყველაზე რთულად აღიქმება: დაახლოებით 70% მას „რთულად“ აფასებს, „მარტივად“ - მხოლოდ 5%.

ბანკების ინტერვიუები ადასტურებს მნიშვნელოვან პრობლემას: საჯარო ანგარიშგება დაკრედიტების მიზნებისთვის დაგვიანებით ქვეყნდება და არ არის საკმარისად სანდო, რის გამოც საკრედიტო გადაწყვეტილებები ეფუძნება კომპანიებისგან მიღებულ უახლეს მონაცემებს. ბანკებისთვის აუდიტი ცალსახად ზრდის ანგარიშგების სანდოობას, მაგრამ მიკრო და მცირე სეგმენტში მისი არარსებობა რჩება გამოწვევად. ESG ჩარჩოები (CSRD, ESRS) ქმნის ახალ შესაძლებლობებს, თუმცა საქართველოში ESG ჯერ საწყის ეტაპზეა მისი პროგრესის ევროკავშირის შემდგომ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული. 2025 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით SME-ებს სავალდებულო ESG ანგარიშგება არ დაევალებათ. პერსპექტივაში რჩება ნებაყოფლობითი ანგარიშგება.

კვლევის ჰიპოთეზა დადასტურდა: საქართველოში განხორციელებულმა აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმამ 2018-2024 წლებში SME-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა, თუმცა ხელი შეუწყო აღრიცხვის პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. ეს თანხვედრაშია ინფორმაციული ასიმეტრიისა და სიგნალის გადაცემის თეორიებთან: საჯარო ანგარიშგება ვერ ქმნის საკმარის დადებით სიგნალს

დროულობისა და სანდოობის ხარვეზების გამო. ინსტიტუციური

თეორია კი ხსნის მცირე კომპანიების ქცევას, რომ რეფორმებთან შესაბამისობა ხშირად მხოლოდ ლეგიტიმაციის შენარჩუნების მცდელობაა მნიშვნელოვანი შიდა ცვლილებების გარეშე.

სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს, რომ კომპანიის კატეგორია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია დაფინანსებაზე წვდომის კუთხით, ანუ კომპანიის ზომა განსაზღვრავს დაფინანსების სიმარტივეს. თვალსაჩინოა, რომ SME-ებში ამ მხრივ გაუმჯობესება არ ფიქსირდება და უმეტესწილად დიდი ზომის კომპანიებს აქვთ პროგრესი. ბანკების პრაქტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს თეორიულ ლოგიკას: ფორმალური შესაბამისობა საკმარისად პოზიტიურ სიგნალად არ გარდაიქმნება მანამ, სანამ მონაცემები არ იქნება სანდო, დროული და ინტეგრირებული საკრედიტო შეფასების სისტემებში.

საბოლოო ჯამში ცხადია, რომ რეფორმის გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია ინსტიტუციური სიმძლავრის ზრდაზე, ანგარიშგების ხარისხსა და დროულობაზე, ტექნოლოგიურ ინტეგრაციაზე და ფინანსური წიგნიერების ამაღლებაზე. მხოლოდ ამ პირობებში გარდაიქმნება გამჭვირვალობა რეალურ ეკონომიკურ სარგებლად და SME-ებისთვის ფინანსებზე წვდომა გახდება უფრო მარტივი.

დასკვნა

ჩატარებულმა რაოდენობრივმა და თვისებრივმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში განხორციელებულმა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმამ მნიშვნელოვანი პროგრესი მოიტანა ანგარიშგების გამჭვირვალობისა და ევროსტანდარტებთან შესაბამისობის მიმართულებით, თუმცა მისი პრაქტიკული ეფექტი ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებაში კვლავ შეზღუდულია.

გამოწვევები მრავალმხრივია: მცირე კომპანიებში ანგარიშგების ხარისხი დაბალია; ფინანსური წიგნიერების ნაკლებობა და ტექნოლოგიური ჩამორჩენა აფერხებს რეფორმის სარგებლის რეალიზაციას; ბანკების პრაქტიკა მიუთითებს, რომ საჯარო ანგარიშგება საკრედიტო ანალიზში იშვიათად გამოიყენება

დროულობისა და სანდოობის ხარვეზების გამო. ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია ქმნის ახალ შესაძლებლობებს, თუმცა SME-ებისთვის აუცილებელია მხარდაჭერა, რათა გამჭვირვალობა რეალურ კონკურენტულ უპირატესობად იქცეს.

რეფორმის ეფექტიანობის გასაძლიერებლად საჭიროა კოორდინირებული ქმედებები ბიზნეს სექტორს, პროფესიულ მომსახურების პროვაიდერებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის. გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია კომპეტენციების ზრდაზე, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე და საჯარო-კერძო თანამშრომლობაზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გამჭვირვალობა გარდაიქმნას რეალურ ეკონომიკურ სარგებლად და რეფორმამ სრულად გაამართლოს თავისი მიზნები.

კვლევების შედეგად მიღებული რეკომენდაციები დეტალურადაა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომში.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

1. Eka Gegeshidze & Natia Kalatozishvili, “Private Sector Views on Audit and Accounting Reform in Georgia,” *Caucasus Journal of Social Sciences*, 2025, #1. doi.org/10.62343/cjss.2025.267.

2. ეკა გეგეშიძე, ნათია კალატოზიშვილი, „ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის გავლენა მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) ფინანსების წვდომაზე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2025, #3. doi.org/10.52340/eab.2025.17.03.14



University of Georgia

School of Business and Administrative Studies

Doctoral Program: Business Administration

With the right of manuscript

Natia Kalatozishvili

Assessment of the Outcomes of Georgia's Accounting
and Audit Reform (2018-2024): Implications for
Access to Finance for Small and Medium-Sized
Enterprises and Georgia's Harmonization Process
with the European Union

Herald of Doctoral Dissertation

To earn the academic degree of Doctor

(Specialization: Business Administration)

Tbilisi

2026

The dissertation was completed in Georgia

University School of Business and Administrative Sciences

Chairman of the Dissertation Council: Professor, Rusudan Tsitskishvili

Scientific supervisor: Professor, Eka Gegeshidze

Board Member: Professor, Nino Kavtaradze

Official experts:

External Expert - Professor, Natia Shengelia

External Expert - Professor, Nana Zazadze

External Expert - Professor, Giorgi Rusiashvili

The dissertation defense will take place on March 25, 2026, at 16:00;

Address: University of Georgia, Fourth Building, Conference Room #519

A dissertation can be found at the University of Georgia

In the library.

The dissertation herald was sent on February 11, 2026;

Secretary of the Dissertation Council - Natia Manjikashvili

General Description of the Dissertation

Financial transparency and reliable financial reporting play a crucial role in attracting investment and fostering overall economic growth. Georgia's accounting and audit reform is aimed precisely at this objective: improving the quality of reporting and raising transparency standards. This process is particularly critical for small and medium-sized enterprises (SMEs), as access to finance is a key factor in economic development.

The purpose of this dissertation is to assess the effectiveness of Georgia's accounting and audit reform in terms of SMEs' access to finance, as well as to analyze the dynamics of harmonizing the accounting framework with European Union standards, including developments in sustainability reporting. The study covers the period from 2018 to 2024 and addresses the following research questions:

1. How has the quality of SME financial reporting changed from the perspective of businesses, and what concerns remain regarding reporting quality?
2. How has the experience of obtaining financing evolved for businesses, and what challenges persist in terms of access to finance?
3. How has access to financial information and its quality changed from the perspective of financial institutions?
4. What progress has been made in harmonizing Georgia's accounting standards with the EU framework, and what

steps have been taken toward implementing EU sustainability reporting standards in Georgia?

The dissertation is grounded in theories of information asymmetry and signaling, as well as institutional and legitimacy theory. The conceptual logic is structured as follows:

Reform → Improved reporting quality → Reduced information asymmetry → Increased trust → Gradual improvement in access to finance.

The research employs a mixed-method approach, combining both desk-based and field components. The desk research includes analysis of local and international literature, relevant legislation, official reports, and indicators published by the regulator during 2018-2024, enabling an assessment of both the normative framework and the trajectory of practical implementation.

The field component comprises two online surveys conducted among private sector businesses at different stages (baseline in 2019; follow-up in 2024-2025), expert interviews in two periods (2019 and 2025), and interviews with representatives of commercial banks in 2024. This design ensures an understanding of perspectives from businesses, lenders, and regulators.

Quantitative data analysis was performed using Python, applying descriptive statistics, cross-tabulations, chi-square tests (χ^2), one-way ANOVA, and linear regression analysis. Additionally, findings from the quantitative research were complemented by semi-structured expert interviews.

Qualitative data were analyzed thematically and integrated into the dissertation to strengthen causal interpretation.

The results confirm the dissertation's hypothesis: Georgia's accounting and audit reform implemented between 2018 and 2024 did not succeed in improving SMEs' access to finance, although it had a positive impact on harmonizing accounting practices with EU standards.

The study highlights key challenges of the reform: the quality of SME reporting remains a major issue, linked to a lack of professional competencies in the field, company behavior, low financial literacy, and technological lag.

The findings have multifaceted implications: For policymakers and regulators: to evaluate reform effectiveness and set correct priorities for subsequent stages. For commercial banks: to standardize the use of public information and improve credit assessment. For SMEs: to optimize strategies for accessing financial resources through improved reporting quality. For academia: to deepen empirical insights into transition economies heavily dependent on bank financing.

Recommendations focus on strengthening SMEs' financial literacy and professional capacity; targeted retraining of accounting and audit personnel; digital transformation of reporting processes and data quality standardization; enhancing data exchange and methodological coordination between banks and regulators; and gradual implementation of EU sustainability standards.

Implementing these steps in practice will reduce information asymmetry, improve risk assessment accuracy, and gradually facilitate better access to finance for SMEs.

The dissertation consists of 167 pages and includes an overview, table of contents, introduction, five chapters, 23 sections, conclusions and recommendations, and five appendices. It contains 36 tables, 20 charts, and two illustrations, accompanied by a list of references.

Preface

Financial transparency and access to reliable financial information have a significant impact on a country's economic development. High-quality financial reporting reduces information asymmetry, increases trust, and creates conditions for improving investment and access to finance. The ongoing accounting and audit reform in Georgia is considered an important step toward harmonization with the European Union and strengthening the economy. Within the framework of the reform, since 2019, companies have been required to publish financial statements on a public platform, which has established an unprecedented transparency standard in the country.

In the modern economy, achieving financial transparency and harmonizing reporting standards, including in the area of sustainability reporting, are particularly relevant. For individual countries, alignment with EU regulations is not only a technical requirement but also a prerequisite for strengthening the institutional environment and attracting investment. The same applies to Georgia. This reform is aimed precisely at these objectives. Accordingly, ensuring the

effectiveness of the reform is a priority for the Government of Georgia.

This dissertation examines the effectiveness of the accounting and audit reform implemented in Georgia during 2018-2024 in terms of SMEs' access to finance. It also evaluates how this reform supports Georgia's approximation to EU standards. The research focuses on key questions: How has the perceived quality and use of reporting changed among businesses? What are the trends in financing conditions and cost? How do commercial banks use public financial information in credit assessment? What progress has been made toward harmonization with EU standards?

The study is valuable both from a scientific and theoretical perspective and in terms of practical application. No empirical analysis of this scale has previously been conducted in Georgia regarding SMEs' access to finance and the impact of accounting reform. Therefore, the research findings will be relevant for the academic community, policymakers, and the financial sector. The results will contribute to understanding and successfully addressing challenges arising during the implementation of Georgia's accounting and audit reform, particularly regarding businesses' access to finance and harmonization of the sector with EU standards.

Chapter 1. International Accounting Standards and Challenges for Small and Medium-Sized Enterprises

In recent decades, the harmonization of financial reporting standards has become a global trend. Its goal is to

establish a unified accounting framework that provides investors, capital providers, and regulators with reliable, transparent, and comparable information. In this process, a leading role belongs to International Financial Reporting Standards (IFRS), whose adoption has created a global platform for improving reporting quality and strengthening trust.

Since 2005, publicly listed companies in the European Union have been required to prepare consolidated financial statements in accordance with IFRS. For small and medium-sized enterprises, a simplified framework-IFRS for SMEs-was developed in 2009; however, its implementation has been limited in many countries and is less widespread than IFRS. The low adoption rate is associated with SMEs' lack of technical skills, insufficient training, and implementation costs. Voluntary application of the standard is more common among companies that interact intensively with external stakeholders and are engaged in international trade, while in other cases, the motivation for adoption decreases. It is also recognized that formal adoption of the standard does not automatically guarantee high-quality reporting by enterprises.

In developing countries, IFRS implementation is often interpreted as a means of increasing the attractiveness of capital markets; however, the outcome depends on the institutional environment and enforcement quality. In the post-Soviet space, the pace of adoption varies: the Baltic states implemented IFRS and IFRS for SMEs in parallel with EU integration; Moldova and Armenia have achieved certain progress to date with international support. In Georgia, both

standards have been adopted, representing an important step in the harmonization process.

Globally, access to finance for SMEs remains a challenge: information asymmetry, incomplete credit histories, and internal process weaknesses increase the risk profile of small companies and limit their ability to obtain financing. Against this backdrop, transparent and reliable financial reporting is considered a critical prerequisite for improving creditworthiness and access to finance.

International studies indicate that high-quality reporting and compliance with IFRS increase access to external financing and strengthen trust; however, the effect depends significantly on company size and audit quality. In the case of IFRS for SMEs, technical competencies and implementation costs remain barriers. Ultimately, harmonization serves to increase transparency and reliability, but the practical outcome in terms of access to finance develops gradually and requires professional skills and institutional strength.

Chapter 3. Initial Phase of Georgia's Accounting and Audit Reform - Private Sector Readiness and First Results

The initial stage of Georgia's accounting and audit reform is assessed through an examination of private sector readiness. The goal of the reform was to improve financial transparency, strengthen regulation, and promote sustainable economic growth. Achieving these outcomes largely depends on businesses' awareness and professional competencies to

ensure proper engagement in the reform. This chapter also analyzes statistics on the disclosure of financial statements to evaluate the enforcement aspect of the reform.

The dissertation discusses SMEs' attitudes toward the reform, their level of knowledge, and readiness to comply with the new framework. The research is based on a survey conducted in 2019 (74 companies) and interviews with three experts. Survey results showed that the majority of companies evaluate the reform positively (81%), although only a portion (42%) has a detailed understanding of it, indicating an asymmetry between knowledge and perception. Most respondents consider additional IFRS training necessary, while experts emphasize the slow development of accountants' skills and insufficient knowledge of reform details.

Public data from SARAS show that submission rates of financial statements in Categories I-III are high (approximately 95% in 2021), while Category IV demonstrates a declining trend (from 80% to 72% between 2021 and 2023). This points to resource and competence issues among small businesses. In addition to formal compliance, the substantive quality of reporting remains an area for examination: in 2020, SARAS issued more than 26,000 warnings due to reporting defects, highlighting the need for quality improvement.

Overall, the initial phase of the reform reflects positive business attitudes and signs of technical progress in enforcement; however, systemic challenges remain relevant. Implementation costs for small companies, lack of professional education, and low awareness emerge as key barriers. The SARAS strategy for 2023-2026 aims to improve reporting

quality, strengthen trust in the accounting profession, and align with EU standards, laying the foundation for the second stage of reform implementation.

Chapter 4. Implementation of Georgia's Accounting and Audit Reform and Progress Achieved from 2018 to 2025

In assessing the outcomes of Georgia's reform, it is important to analyze how the accounting and audit system has evolved over the past seven years, what changes are observed in business practices, and where challenges remain. The reform aimed to improve financial transparency, strengthen regulation, and promote sustainable economic growth; however, its effectiveness depends not only on formal compliance but also on the reliability of disclosed information.

Chapter 4 presents research findings based on a survey conducted in 2024-2025 (311 respondents) and comparison with baseline data from 2019, SARAS reports, interviews with representatives of commercial banks, and a final expert interview. Descriptive and advanced statistics, comparative data analysis, and expert assessments complement each other, enabling evaluation of reform progress and existing barriers.

The results indicate that transparency in Georgia has significantly increased: most companies publish their financial statements on reportal.ge, creating a foundation for market discipline. However, internal use of these reports remains limited, especially among micro and small companies, where

resource constraints and lack of professional skills persist. SARAS data show that reporting quality remains a challenge: thousands of warnings for defects have been recorded in recent years, pointing to the need for substantive improvement.

Progress in access to finance is limited. Most SMEs report that credit conditions have not changed significantly since the start of the reform. Interviews with banks confirm that public financial statements rarely serve as the primary basis for credit decisions; for banks, up-to-date company data and the presence of an audit are decisive. Ensuring this is difficult for small companies. Therefore, public disclosure is important, but its weight in the credit process remains low.

The research also highlights low levels of financial literacy in the private sector: businesses often prepare reports only to fulfill formal obligations, with limited analytical use. Results of the OECD/INFE study conducted in Georgia indicate that theoretical financial knowledge among SMEs does not translate into practical behavior, requiring hands-on training and simplification of financial instruments.

Progress toward EU harmonization is evident: CSRD/ESRS requirements and simplified standards for SMEs are gradually being introduced, and ESG topics are becoming relevant in credit and investment processes. This creates new opportunities but requires gradual and realistic integration to avoid overburdening small businesses with additional requirements.

Expert interviews emphasize the need for practical support for SMEs: on-site training, simple instructions, and real-life examples are considered the most effective

approaches. Low prevalence of audits and slow integration of ESG remain challenges, although the trend is positive.

In summary, Chapter 4 shows that the reform has already delivered results in terms of standardization and transparency. The next step is to enhance the reliability and usability of information, which will create better conditions for SMEs, enable faster decision-making, and provide access to broader markets.

Chapter 5. Opportunities, Challenges, and Future Perspectives Identified in the Process of Assessing Georgia's Accounting and Audit Reform

Chapter 5 consolidates the empirical findings of the previous chapters and tests the theoretical framework based on information asymmetry and signaling, as well as institutional and legitimacy theories. It discusses differences identified by company size and category, practical effects on access to finance, banks' credit behavior, and progress in implementing the ESG framework. At the same time, the research hypothesis is verified.

The research results indicate that the declared objectives of the reform—enhancing transparency, improving reporting quality, and facilitating SMEs' access to finance—were only partially achieved in the short term. Companies in Categories I-II adapt better to standards and use reporting as a tool for internal management and external communication, whereas in Categories III-IV compliance often remains a

formal obligation. In Category IV, access to finance is perceived as most difficult: about 70% rate it as “difficult,” and only 5% as “easy.”

Interviews with banks confirm a significant issue: public reporting for lending purposes is published with delays and is not sufficiently reliable, so credit decisions rely on the most recent data obtained directly from companies. For banks, audits clearly increase the credibility of reporting, but their absence in the micro and small segment remains a challenge. ESG frameworks (CSRD, ESRS) create new opportunities; however, ESG in Georgia is still at an early stage, and its progress depends on future EU decisions. As of December 2025, SMEs will not be required to provide mandatory ESG reporting. Voluntary reporting remains a long-term perspective.

The research hypothesis was confirmed: the reform increased transparency and reduced information asymmetry, but its positive effect on access to finance is limited. This aligns with information asymmetry and signaling theories: public reporting fails to create a sufficiently positive signal due to gaps in timeliness and reliability. Institutional theory explains the behavior of small companies, where compliance with reforms often represents an attempt to maintain legitimacy without significant internal changes.

Statistical analysis confirms that company category is statistically significant in terms of access to finance, meaning company size determines the ease of obtaining financing. It is evident that SMEs show no improvement in this regard, and progress is mostly observed among larger companies. Banking

practices once again confirm the theoretical logic: formal compliance does not transform into a sufficiently positive signal until data become reliable, timely, and integrated into credit assessment systems.

Ultimately, it is clear that the long-term success of the reform depends on strengthening institutional capacity, improving the quality and timeliness of reporting, technological integration, and enhancing financial literacy. Only under these conditions will transparency translate into real economic benefits and make access to finance easier for SMEs.

Conclusion

The quantitative and qualitative research conducted shows that Georgia's accounting and audit reform has brought significant progress in terms of reporting transparency and alignment with EU standards; however, its practical effect on improving access to finance remains limited.

Challenges are multifaceted: reporting quality is low among small companies; lack of financial literacy and technological lag hinder the realization of reform benefits; banking practices indicate that public reporting is rarely used in credit analysis due to gaps in timeliness and reliability. EU standards harmonization creates new opportunities, but SMEs require support to turn transparency into a real competitive advantage.

Strengthening the effectiveness of the reform requires coordinated actions among the business sector, professional

service providers, and policymakers. Long-term success depends on capacity building, integration of digital technologies, and public-private cooperation. Only through these measures can transparency be transformed into real economic benefits and the reform fully achieve its objectives.

Recommendations derived from the research are presented in detail in the dissertation.

List of Publications Related to the Dissertation Topic

1. Natia Kalatozishvili, Eka Gegeshidze, “Private Sector Views on Audit and Accounting Reform in Georgia,” *Caucasus Journal of Social Sciences*, 2025, Issue #1. doi.org/10.62343/cjss.2025.267
2. Eka Gegeshidze, Natia Kalatozishvili, “The Impact of Accounting Reform on Access to Finance for Small and Medium-Sized Enterprises (SMEs) in Developing Economies (The Case of Georgia),” *Economics and Business Journal*, 2025, Issue #3. doi.org/10.52340/eab.2025.17.03.14